n 90/1581 PM 2670

ვუძღვნით ჯინსების თაობას!

ჯინსების თაობა საქართველოში 80-იანელები მოიაზრებიან. მათი პოპულარობის საიდუმლო მათ სითამამესა და სილაღეშია, რაც ბევრს აღიზიანებდა. 80-იანელებს გაუთავებლად კიცხავდნენ, ებრძოდნენ და ხშირად ეროვნული ტრადიციების ღალატსაც აბრალებდნენ, თუმცა სწორედ ამ თაობამ მოახერხა უცვლელი ღირებულებების დემოკრატიულ პრინციპებთან მორგება, სწორედ ეს იყო პირველი დემოკრატიული მოძრაობა, რომელიც ლოგიკურად იმ პერიოდში უამრავ საფრთხეს მოიცავდა. ეს ახალგაზრდები ხშირად თავად ვერ აცნობიერებდნენ იმ საფრთხეს, ამიტომ ისინი უსმენდნენ და თავადვე ქმნიდნენ, ხატავდნენ, თამაშობდნენ, წერდნენ და რაც მთავარია სწავლობდნენ დემოკრატიული ღირებულებების ანაბანას.

80-იანელების ერთერთი ხიბლი იყო, მათი დამოკიდებულება მოძალებულ პლებეიზმთან მათ მშვენივრად მოახერხეს ტრადიციული ფორმების მორგება სიახლეებთან. ამის დასტურია ის, რომ საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში 23 დეკემბერს 15 საათზე მოწყობილ 80-იანელთა გამოფენაზე წარმოდგენილ იქნება ქართული ტრადიციების სახლი "ადგილის დედა", რომელიც კიდევ ერთხელ შეგახსენებთ თუ როგორ ხვდებოდნენ ქარტველები შობა-ახალ წელს. კავშირის თავმჯდომარეა ნანა ხოჭოლავა.

ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში წარმოდგენილი იქნება 80-იანელ მხატვართა საუკეთესო ნამუშევრები. ესენი არიან: გია ლორია, გია გოგლიძე, ნიკო ცეცხლაძე, მამუკა ცეცხლაძე, ოლეგ ტიმჩენკო, გელა მანჯავიძე, შალვა მატუაშვილი, გია გუგუშვილი, იური ბერიშვილი, ბესიკ არბოლიშვილი, დათო ქოიავა, ზურაბ კოკაია, მარინა გახუტიშვილი, ლია ცეცხლაძე, კარლო კაჭარავა, ირაკლი ფარჯიანი, მერაბ აბრამიშვილი, თამაზ კაკაბაძე, რომან გვარლიანი.

სახელწოდება "ჯინსების თაობა" მწერალ დათო ტურაშვილს ეკუთვნის. ქართული ტრადიციისამებრ ჩვენ ამ დღეს გამოვფენთ გარდაცვლილ მეგობართა ნამუშევრებსაც და რაკი სიკვდილი და სიცოცხლე ძმები არიან, ამ სიცოცხლის ზეიმისადმი მიძღვნილ გამოფენას ზურაბ ჟვანიას ხსოვნას ვუძღვნით, ისიც ხომ ღირსეულთაგანი 80-იანელი იყო.

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის
სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის
საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

www.ikaextrasens.com

ოლიმპიური ვარსკვლავი
THE OLIMPIC STAR

მოსაწვევი

ქალბატონო - ბატონო

ია

"ჯინსების თაობა"
გილოცავთ შობა-ახალ წელს და
გიწვევთ საშობაო გამოფენაზე
საქართველოს პარლამენტის
ილია ჭავჭავაძის სახელობის
ეროვნული ბიბლიოთეკის
საგამოფენო დარბაზში

2006 წლის 23 დეკემბერს
16:00 საათზე

გუდიაშვილის 7 მესამე კორპუსი











ეროვნული
ბიბლიოთეკა